



# თამბაქოს მომხმარებელთა

## კვლევა

(2017 წელი)

## Contents

მეთოდოლოგია .....	3
ძირითადი მიგნებები .....	8
თავი A: მწველთა და მათი ოჯახების ზოგადი სოციო-ეკონომიკური პარამეტრები .....	13
სექცია B: თამბაქოს პროდუქციის მოხმარების ტენდენციები .....	17
B1. თამბაქოს მოხმარების ტენდენციები შინამეურნეობების დონეზე .....	17
B2. თამბაქოს მოხმარების ტენდენციები რესპონდენტებში .....	22
B2. ყოველდღიური და არაყოველდღიური მწველეების თანაფარდობა .....	24
B2.1. ყოველდღიური მწველეების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები .....	25
B2.2. არაყოველდღიური მწველეების განაწილება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით .....	28
თავი C. ქარხნული სიგარეტი .....	29
C1. შექმნილი სიგარეტების რაოდენობა .....	29
C2. შესყიდული სიგარეტის ღირებულება .....	31
C3. სიგარეტის გაზიარება ოჯახის წევრებისთვის .....	33
C4. სიგარეტის ბრენდები და მათი შექმნის ობიექტები .....	35
C5. სიგარეტის კოლოფის მონიტორინგი .....	39
C5.1. რესპონდენტთა თანხმობა სიგარეტის კოლოფის ჩვენებაზე .....	39
C5.2. კოლოფში აღმოჩენილი სიგარეტის სახეობა .....	41
C5.3. აქციზი კოლოფზე .....	42
C5.4. ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა კოლოფზე .....	44
C5.5. სიგარეტის კოლოფში გადახდილი ფასი .....	44
C5.6. სიგარეტის მეორე კოლოფის არსებობა და მისი მახასიათებლები .....	46
სექცია D: ცოდნა, დამოკიდებულებები, აღქმები .....	48

# მეთოდოლოგია

## 1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის გამოცდილებისა და დამოკიდებულებების კვლევა თამბაქოს მოხმარებასთან და არალეგალურ/კონტრაბანდულ სიგარეტებთან დაკავშირებით.

პროექტის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

## 2. კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ.

## 3. შერჩევა

სამიზნე ჯგუფი: საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მოსახლეობა (18+ ასაკის). კერძოდ, გამოიკითხა ქალაქ თბილისისა და ქუთაისის და ასევე, ზუგდიდის, გორისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მოსახლეობა.

**შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა:** 3000 ინტერვიუ. ეს ზომა კვლევის შედეგებს ათავსებს ცდომილების დასაშვებ ზღვარში თითოეული სამიზნე ტერიტორიული და დემოგრაფიული ერთეულისთვის.

**შერჩევის ჩარჩო:** 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის განსაზღვრული მაჟორიტარული ოლქების ამომრჩეველთა სრული მონაცემები. ეს მონაცემები მოგვაწოდა საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

**კვლევის დიზაინი:** მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციის გამოყენებით

მთლიანი შერჩევის ზომა (3000 ინტერვიუ) გადანაწილდა სამიზნე ტერიტორიულ და დემოგრაფიულ ერთეულებს შორის (ქალაქები და მუნიციპალიტეტები) ისე რომ მონაცემების სტატისტიკური სანდოობა მეტ-ნაკლებად თანაბარი ყოფილიყო თითოეული სამიზნე ერთეულისთვის. თითოეული ქალაქი და მუნიციპალიტეტი დაიყო სტრატეგად დასახლების ზომის მიხედვით.

1. თბილისის რაიონები და მუნიციპალიტეტების პატარა ქალაქები (რაიონული ცენტრები)
2. სასოფლო დასახლებები მუნიციპალიტეტებში

ტერიტორიული და დემოგრაფიული ერთეულების შერჩევის ზომა გადანაწილდა სტრატეგს შორის 18 და უფრო მეტი ასაკის მოსახლეობის პროპორციულად.

პირველადი შერჩევის ერთეულები (PSU) იყო:

ა) საარჩევნო უბნები ქალაქის სტრატაში

ბ)სოფელი სასოფლო სტრატაში (ამასთან, სოფელი/სოფლები თავად წარმოადგენს საარჩევნო უბანს)

თითოეულ პირველად შერჩევის ერთეულში (PSU) ჩატარდა 15 სრული ინტერვიუ. პირველადი შერჩევის წერტილების რაოდენობა, რაც შეიძლება შერჩეულიყო თითოეულ სტრატაში განისაზღვრა ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობის 15-ზე გაყოფით. პირველადი შერჩევის წერტილები შეირჩა პროპორციული აღბათური შერჩევის მეთოდით (PPS). შერჩეული პირველადი შერჩევის წერტილების აღბათობა იყო პროპორციული საბოლოო ერთეულის ზომისა. დიდ კლასტერებს შერჩევის უფრო დიდი აღბათობა ქონდათ, უფრო პატარა კლასტერებს კი უფრო დაბალი აღბათობა.

ინტერვიუების მოსალოდნელი რაოდენობა ტერიტორიული ერთეულებისა და სტრატების მიხედვით მოცემული ცხრილში #1

**ცხრილი #1ა:** ინტერვიუების რაოდენობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (წინასწარ განსაზღვრული)

	სოფელი	ქალაქი	ჯამი	ცდომილება 95%-იანი სანდოობით
თბილისი	-	1000	<b>1000</b>	3.1%
ქუთაისი	-	500	<b>500</b>	4.4%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	285	215	<b>500</b>	4.4%
გორის მუნიციპალიტეტი	300	200	<b>500</b>	4.4%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	270	230	<b>500</b>	4.4%
ჯამი	855	2145	<b>3000</b>	1.8%

**ცხრილი#1ბ:** ინტერვიუების რაოდენობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ფაქტობრივი განაწილება)

	სოფელი	ქალაქი	ჯამი	ცდომილება 95%-იანი სანდოობით
თბილისი	39	958	<b>997</b>	3.1%
ქუთაისი	-	498	<b>498</b>	4.4%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	265	235	<b>500</b>	4.4%
გორის მუნიციპალიტეტი	303	199	<b>502</b>	4.4%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	292	208	<b>500</b>	4.4%
ჯამი	899	2098	<b>2997</b>	1.8%

პირველადი შერჩევის ერთეულების რაოდენობა თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში მოცემულია #2 ცხრილში.

**ცხრილი #2ა:** პირველადი შერჩევის ერთეულების რაოდენობა (წინასწარ განსაზღვრული)

	სოფელი	ქალაქი	ჯამი
თბილისი		67	67
ქუთაისი		32	32
ზუგდიდი	19	14	33
გორი	20	15	35
ახალციხე	18	15	33
ჯამი	57	136	200

**ცხრილი #2ბ:** პირველადი შერჩევის ერთეულების რაოდენობა (ფაქტობრივი განაწილება)

	სოფელი	ქალაქი	ჯამი
თბილისი	6	99	105
ქუთაისი		50	50
ზუგდიდი	19	30	49
გორი	20	30	50
ახალციხე	14	12	26
ჯამი	59	221	280

**მეორადი შერჩევის ერთეული (SSU):** შინამეურნეობა. თითოეულ შერჩეულ პირველადი შერჩევის ერთეულში შეირჩა მეორადი შერჩევის წერტილები „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდით ოჯახებს შორის „ბიჯის“ დაცვით. ბიჯის ზომა განსხვავდებოდა დასახლების ზომის მიხედვით.

**საბოლოო შერჩევის ერთეული (FSU):** თვრამეტი და უფროსი ასაკის მოქალაქე. საბოლოო შერჩევის ერთეული განისაზღვრა კიმის ცხრილის გამოყენებით.

**4. პილოტაჟი**

კითხვარის შემუშავების შემდეგ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა განახორციელა კითხვარის წინასწარი დატესტვა. პირველ ეტაპზე ISSA-მ დაბეჭდა 10 კითხვარი, რომელიც ორგანიზაციის ანალიტიკოსმა შეისწავლა გულმოდგინედ და დაატრენინგა ორი ინტერვიუერი პილოტური კვლევისთვის. საპილოტე კვლევისთვის სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ველზე გაგზავნა მაღალკვალიფიციური ინტერვიუერები, რომლებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ გამოკითხვის პროცედურებს. იქნებოდა ეს კითხვების ენობრივი და ლოგიკური მოწყობა თუ კითხვარის შევსების სპეციფიკა, იწერდნენ ხშირად დასმულ შეკითხვებს და ინიშნავდნენ თუ რა დრო დასჭირდა ინტერვიუს და ა.შ..

ინტერვიუერებმა მოგვაწოდეს სრულყოფილი ინფორმაცია კითხვარებზე და მათი შევსების პროცედურებზე. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა და გარე ექსპერტმა დამკვეთი ორგანიზაციიდან გულმოდგინედ შეისწავლეს შევსებული კითხვარები. საპილოტე კითხვარების შედეგების ანალიზის შემდეგ ისსა-ს ანალიტიკოსმა განიხილა კითხვარის ნაკლოვანებები და შესაძლო ცვლილებები, რათა საბოლოო ვარიანტი შექმნილიყო. კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა დამკვეთ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, საპილოტე კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

## 5. სუპერვაიზორების/ინტერვიუერების ტრენინგი

კითხვარისა და შერჩევის დიზაინის შემუშავების შემდეგ სუპერვაიზორებმა გაიარეს ინტენსიური ტრენინგი ISSA-ს ანალიტიკოსთან და პროექტის კოორდინატორთან, სადაც ყურადღება გამახვილდა კითხვარის სპეციფიკაზე, კვლევის პროტოკოლზე, მათი პასუხისმგებლობებსა და შერჩევის ტიპებზე. თითოეული გეოგრაფიული ერთეულის სუპერვაიზორმა ინტერვიუერები დაატრენინგა ადგილობრივად. ISSA-ს კოორდინატორმა და ანალიტიკოსმა ჩაატარეს საჩვენებელი ინტერვიუები ინტერვიუებთან, რათა უზრუნველყოთ ინტერვიუს მაღალი ხარისხი.

## 6. საველე სამუშაოები და ხარისხის კონტროლი

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2 კვირის განმავლობაში. დაიწყო 2017 წლის 11 ნოემბერს და დასრულდა 2017 წლის 26 ნოემბერს. კვლევაში მონაწილეობდა 60 ინტერვიუერი და 9 სუპერვაიზორი.

თითოეულ ინტერვიუერს დაახლოებით 50 ინტერვიუს ჩატარების პასუხისმგებლობა ქონდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახები შეირჩა შემთხვევითი ხეტიალის მეთოდით, ოჯახებს შორის ბიჯების (ინტერვალების) დაცვით. ეს ინტერვალები განსხვავდებოდა დასახლების ტიპის მიხედვით. საქალაქო დასახლებებში ინტერვალები განსხვავდებოდა საცხოვრებლის ტიპის მიხედვით: კორპუსებისთვის განისაზღვრა ყოველი მე-7 ან მე-9 ოჯახი (დამოკიდებული იყოს კორპუსის სართულების რაოდენობასა და ამ კორპუსში მცხოვრები ოჯახების რაოდენობაზე); კერძო დასახლებებისთვის კი ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) იყო ყოველი მე-5 ოჯახი. სასოფლო დასახლებებშიც, ასევე, ყოველი მე-5 ოჯახი შეირჩა. როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო დასახლებაში პირველი ოჯახი შეირჩა ბრმად.

ოჯახებში რელევანტური რესპონდენტების (18 და უფროსი ასაკის მწვევლები) ამორჩევის წესს, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოვიყენეთ ე.წ. კიშის ცხრილი. კერძოდ, ეს ტექნიკა გამოვიყენეთ ოჯახის იმ ახალგაზრდა წევრებთან მიმართებით, რომლებიც იყვნენ მწვევლები. იმ შემთხვევაში, თუ კიშის ცხრილის მეშვეობით შერჩეული რესპონდენტი არ აღმოჩნდა ოჯახში, ინტერვიუერს შეეძლო შემთხვევითობის პრინციპით შეერჩია შემდეგი რესპონდენტი. კერძოდ, ინტერვიუში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში ინტერვიუერს შეეძლო შეერჩია რელევანტური რესპონდენტი (მწვევლი) იგივე ოჯახში, თუმცა თუ ასეთი რესპონდენტი არ მოიძებნებოდა ამ ოჯახში (თუნდაც განმეორებითი ვიზიტის შემთხვევაში), მაშინ ინტერვიუერი შემთხვევით არჩევდა რესპონდენტს სხვა ოჯახში.

იმისთვის, რომ ინტერვიუერებს მოეძებნათ შესაბამისი ოჯახი, სადაც ცხოვრობდნენ მწვევლები, კვლევამ მოიცვა სულ 4345 ოჯახი. ამ რაოდენობას რამდენიმე ოჯახი გამოეთიშა, რადგან მათ არ ყვდათ მწვევლი წევრი (6,5%) ან იმ მიზეზით, რომ შერჩეულმა რესპონდენტებმა უარი განაცხადეს

ინტერვიუში მონაწილეობის მიღებაზე (27,3%). საბოლოოდ, 2997 კითხვარი შეივსო სრულად (64,5%).

**საველე სამუშაოების გამოწვევები ეხებოდა შემდეგს:**

- რესპონდენტები მალავდნენ სიგარეტის კოლოფებს, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ ოსეთისა (გორის მუნიციპალიტეტი) და აფხზეთის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საზღვრებთან ახლოს. ეს აისახა მონაცემებში: რესპონდენტების დაახლოებით მეოთხედმა (24%) თქვა, რომ მათ არ შეეძლოთ ეჩვენებინათ გახსნილი სიგარეტი. ეს არის მთლიანი შერჩევის 24%.
- რამდენიმე ინტერვიუერს შეექმნა გარკვეული სირთულეები ოჯახში მწვევლი წევრების შერჩევასთან დაკავშირებით: ერთის მხრივ, მწვევლების ნაკლებობის გამო და მეორეს მხრივ იმ მიზეზით, რომ ინტერვიუში მონაწილეობის მიღების თავიდან ასაცილებლად რესპონდენტები მალავდნენ რომ იყვნენ მწვევლები.
- ინტერვიუს არაანონიმურობა გარკვეულწილად აფერხებდა რესპონდენტების გულწრფელობას გარკვეულ კითხვებთან მიმართებით. რესპონდენტებმა გამოვლინეს შიში, როდესაც მათ მიიღეს ინფორმაცია მიეწოდათ მათთან განმეორებითი ინტერვიუს ჩატარების შესაძლებლობაზე, რათა ესაუბრათ არლეგალური სიგარეტების მოხმარების საკითხზე.

მიუხედავად ამ სირთულეებისა, საველე სამუშაოების ხარისხი და პასუხების მაჩვენებლები აკმაყოფილებენ მონაცემთა შეგროვების სტანდარტებს.

## **7. საველე სამუშაოების კონტროლი**

საველე სამუშაოების კონტროლი/მონიტორინგი მიმდინარეობდა საველე სამუშაოების პარალელურად. ჩატარებული ინტერვიუების დაახლოებით 10%-მა გაიარა საველე კონტროლი, რათა უზრუნველყოფილიყო ინტერვიუების პროცესის მაღალი ხარისხი. კითხვარები, რომლებიც გადამოწმდა, შევსებული კითხვარებიდან შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით.

საველე სამუშაოების კონტროლის შედეგად გამოვლინდა მცირე შეცდომები, რომლებიც ზიანს არ აყენებს მიღებული მონაცემების ხარისხს.

მაგალითად, ჩატარებული ინტერვიუებიდან სამ შემთხვევაში ინტერვიუერმა ინტერვიუს დასასრულს აღმოაჩინა რომ რესპონდენტი იყო 18 წელზე უმცროსი. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ რესპონდენტმა ტავიდანვე არ გაამხილა მისი რეალური ასაკი. სწორედ ამ მიზეზით გაუქმდა სამი ანკეტა.

## პირითადი მიგნებები

### შინამეურნეობების დონე

იმ შინამეურნეობების წილი, რომელთაც მწვევლი წევრები (ე.წ. „სამიზნე“ შინამეურნეობები) ჰყავთ, 70%-ია. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ახალციხის მუნიციპალიტეტში (89.3%), ხოლო ყველაზე დაბალი - თბილისში (69%-მდე).

სამიზნე შინამეურნეობების (რომელთაც ერთი მწვევლი მაინც ჰყავთ) ზომა საშუალოდ (Mean) 3.7 წევრს მოიცავს. შინამეურნეობაში მწვევლ წევრთა რაოდენობა საშუალოდ ერთია (Mean = 1). ეს მაჩვენებელი ტერიტორიული ერთეულების დონეზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, გარდა თბილისისა, სადაც ოჯახში მწვევლთა საშუალო რაოდენობა (Mean) 1.5-ია.

თბილისში ყველაზე მაღალია შინამეურნეობების ზრდასრულ წევრთა შორის მწვევლი წევრების წილიც (56%). ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მონაცემები 4%-იანი განსხვავების ინტერვალშია მოთავსებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მხრივ მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.

სამიზნე ოჯახების ზრდასრულ მამაკაც წევრებს შორის დიდი უმრავლესობა (80%-მდე) მწვევლია, ხოლო ქალებს შორის - ყოველი მეხუთე. მწვევლი მამაკაცების წილი ნაკლებია თბილისში (76.2%), სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით (ყველა დანარჩენში 95%-ზე მეტი).

სამიზნე ოჯახების ზრდასრულ წევრთა შორის მწვევლთა რაოდენობა ყველაზე მეტია 25-34 წწ. ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს შორის (ყოველი მეოთხე); შემდეგ, 35-44 ასაკობრივ ჯგუფში (22.6%); ყველაზე ნაკლები მწვევლი 65 წლის და უფროსი ასაკის წევრებშია (ასაკობრივ ჯგუფებს შორის ეს თანაფარდობა შენარჩუნებულია ყველა ტერიტორიულ ერთეულში).

### რესპონდენტთა დონე

სამიზნე შინამეურნეობებში შერჩეულ რესპონდენტთა თითქმის 95% სიგარეტს ეწევა. 4.7%-ია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც სიგარეტის გარდა თამბაქოს სხვა პროდუქტსაც მოიხმარენ და მხოლოდ 0.5%-ია ისინი, რომლებიც სიგარეტის მწვევლები არ არიან, თუმცა თამბაქოს სხვა პროდუქტს მოიხმარენ.

შერჩეულ რესპონდენტთა (მწვევლთა) სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები ასეთია:

- რესპონდენტთა 79.5% მამაკაცია, ხოლო 20.6% – ქალი. მწვევლების საშუალო ასაკი 42 წელია. თბილისის ოჯახებში (რომელთაც მწვევლი წევრები ჰყავთ) შერჩეულ მწვევლებს შორის ყოველი მეოთხე ქალია, მაშინ როდესაც სხვა ტერიტორიულ ერთეულებში მწვევლ ქალთა წილი 2-5%-ის ფარგლებში მერყეობს.



- რესპონდენტთა ყველაზე დიდ ნაწილს (44.9%) სრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ხოლო 31.3% - საშუალო განათლებას ფლობს.
- რესპონდენტთა ოჯახების საშუალო (Mean) შემოსავალი, ყველა წყაროს გათვალისწინებით, თვეში 1034 ლარს შეადგენს (Median= 800 ლარს).
- რესპონდენტთა 53.7%-ია დასაქმებული. შრომისუნარიან დაუსაქმებელთა (უმუშევართა) წილი კი 30.2%-ია. 8.2% პენსიონერია, ხოლო 7.5% - შრომისუნარო დაუსაქმებლები და სტუდენტები. დასაქმებულების ყველაზე დიდი ნაწილი კერძო სექტორში მუშაობს (44.7%). მესამედი (33.5%) თვითდასაქმებულია, ხოლო 20.7% - საჯარო სამსახურის თანამშრომელი.
- საჯარო ან კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი 45 წლამდე რესპონდენტებში გაცილებით მეტია, ვიდრე 45 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებში; თვითდასაქმებულთა წილი ყველაზე მცირეა ახლაგაზრდებში (18–29 წწ.); რაც შეეხება შრომისუნარიან უმუშევრებს, მათი წილი ყველა რელევანტურ ასაკობრივ ჯგუფში თითქმის თანაბარია (საშუალოდ 30%).

რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (95.2%) აღნიშნა, რომ ისინი სიგარეტს ყოველდღიურად ეწევიან. რესპონდენტთა ან ჯგუფში მოწევის დაწყების საშუალო (Mean) ასაკი 19 წელია (Median=18). მწვევლთა იმ კატეგორიაში კი, ვინც აღნიშნავს, რომ სიგარეტს ყოველდღიურად არ ეწევა, მოწევის დაწყების საშუალო ასაკი უფრო მაღალია – 21.4 წელი (MEDIAN=19).

მამაკაცები 4 წლით ადრე იწყებენ სიგარეტის მოწევას (Mean =18 წელს), ვიდრე ქალები (Mean=22 წელს). ამასთან, ასაკობრივი ჯგუფების ზრდასთან ერთად იზრდება სიგარეტის ყოველდღიური მოხმარების დაწყების საშუალო ასაკი.

ყოველდღიური მწვევლები დღეში საშუალოდ 20-მდე ფილტრიან, ხოლო 2-მდე უფილტრო სიგარეტს ეწევიან. არაყოველდღიური მწვევლები კვირაში საშუალოდ (Mean) 23 ღერს სიგარეტს ეწევიან).

არაყოველდღიურ მწვევლებში მოწევის დაწყების საშუალო ასაკი 20 წელია (Median=19 წელს).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ცალობით სიგარეტს მწვევლ რესპონდენტთა 14.5% იძენს, კოლოფით – 96.4%, ხოლო მთლიანი შეკვრით – 8.3%. სიგარეტის ცარიელი მილები შეძენილი აქვს 1.8%-ს.

ბოლო შეძენისას:

- ცალობით სიგარეტის მყიდველებმა საშუალოდ 14 ღერი შეიძინეს
- კოლოფით სიგარეტის მყიდველებმა – საშუალოდ 23.7 ღერი
- მთლიანი შეკვრით სიგარეტის მყიდველებმა – საშუალოდ 293 ღერი
- სიგარეტის ცარიელი მილების მყიდველებმა – 67.4 მილი

ცალობით შეძენილი სიგარეტების საშუალო რაოდენობა უფრო მეტია ქალებში (Mean = 17), ვიდრე მამაკაცებში (Mean = 13), მაშინ როდესაც კოლოფებით ან მთლიანი შეკვრით შეძენილი სიგარეტების საშუალო რაოდენობა მამაკაცებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში

სიგარეტის (ცალობით, კოლოფებით ან შეკვრით) ბოლოს განხორციელებული შესყიდვის ღირებულება ლარში საშუალოდ (Mean) 8.1 ლარია (Median=4 ლარს). თბილისში რესპონდენტების მიერ გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებელი (Mean=8,9) მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ტერიტორიულ ერთეულებში რესპონდენტთა მიერ გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებლებს (მაგალითად, ქუთაისში Mean=4.1 ლარს, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში – 4.3. ლარს).

მწვევლებში ოჯახის წევრებისთვის სიგარეტის გაზიარების პრაქტიკა გავრცელებული არ არის: მხოლოდ დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპონდენტი (18.9%) აცხადებს, რომ უზიარებს ოჯახის წევრებს საკუთარ სიგარეტს. დიდი უმრავლესობა (81.3%) ამას უარყოფს. ასაკობრივი ცენზის მატებასთან ერთად მცირდება იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ საკუთარი სიგარეტი მათივე ოჯახის სხვა წევრებისთვისაც უწილადებიათ (მაგალითად, 18–29 ასაკობრივი ჯგუფის თითქმის მეოთხედი ოჯახის წევრებს სიგარეტს უწილადებს, ხოლო 60+ ასაკის რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უტოლდება 10.1%-ს.

გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (13.6%) ამბობს, რომ მათ ბოლოს შეიძინეს ქართული ბრენდი – „პირველი“, 12.3%-მა აღნიშნა, რომ იყიდა „ვილსონი“; შემდეგ მოდის ისეთი ბრენდები, როგორებიცაა: „პარლამენტი“, „კენტი“, „მალბორო“ და ა.შ. დასახელებული სიგარეტების შესყიდვები, ძირითადად, განხორციელდა სუპერმარკეტში/მაღაზიაში (73.6%), ან თამბაქოს ჯიხურში/კიოსკში (21.9%). შესყიდვის სხვა წერტილებს, როგორებიცაა ქუჩის დახლი, ან საბითუმო მაღაზია, მცირე წილი აქვთ.

დასახელებულ ლოკაციებზე სიგარეტის შეძენის მიზეზები ერთგვაროვანია – მწვევლებმა სიგარეტი აღნიშნულ წერტილში სახლთან ახლომდებარეობის (81.6%) ან სამუშაო ადგილთან ახლომდებარეობის (16.8%) გამო შეიძინეს. შედარებით მცირე ნაწილისათვის (8.7%) გადაწყვეტი ფაქტორი ყველაზე დაბალი ფასი იყო. პენსიონერთათვის სახლთან ახლოს ყოფნის შემდეგ მნიშვნელოვანი მიზეზი, სიგარეტის ლოკაციის შესარჩევად, ყველაზე იაფი ფასია (12.9%), რაც საერთო შერჩევის მონაცემებზე ორჯერ მეტია.

რესპონდენტების 77% დათანხმდა ინტერვიუერის თხოვნას, რომ ეჩვენებინათ მათ ხელთ არსებული სიგარეტის კოლოფი. თბილისში გამოკითხული პირების დიდმა უმრავლესობამ (80.1%) ინტერვიუერების თხოვნას დადებითად უპასუხა, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულში დაახლოებით 30–დან 40%-მდე მერყეობს იმ მწვევლების რაოდენობა, ვინც ეს თხოვნა არ/ვერ დააკმაყოფილა ორი მიზეზით: ა) სიგარეტის კოლოფის არარსებობა; ბ) რესპონდენტთა მცირე ნაწილის (1–4%) უარი სიგარეტის კოლოფის ჩვენებაზე.

სიგარეტის კოლოფების მონიტორინგმა აჩვენა:

- მწვევლთა 92.3% ფილტრიან სიგარეტს მოიხმარს. 7.6% – უფილტრო სიგარეტს, ხოლო ძალიან მცირეა (0.1%) მათი წილი, ვინც ხელით გასახვევ თუთუნს იყენებს.
- შემთხვევათა 99%–ში კოლოფს აქვს ქართული აქციზი. კვლევაში იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც კოლოფს რუსული (0.01%), აფხაზური (0.07%) ან სომხური (0.004%) აქციზი ჰქონდა დაკრული, ხოლო სულ კოლოფების 0.1% იყო ისეთი, რომლებსაც აქციზი საერთოდ არ გააჩნდა.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კოლოფების 2.5%–ს აღმოაჩნდა აფხაზური აქციზი, ხოლო 0.4%–ს – რუსული აქციზი; სომხური აქციზი ჰქონდა ახალციხის მუნიციპალიტეტში შემოწმებული სიგარეტის კოლოფების 0.3%–ს. სიგარეტის უაქციზო კოლოფები დაფიქსირდა ზუგდიდის (1.8%) და გორის მუნიციპალიტეტებში (1.3%), აგრეთვე, თბილისში (0.4%).
- 0.1%–ია იმ კოლოფების წილი, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გაფრთხილება არ აქვთ. შემთხვევათა 99.7%–ში კოლოფს ასეთი გაფრთხილება ქართულ ენაზე ერთვის. ზუგდიდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი სომხური, აფხაზური და რუსულენოვანი წარწერების რამდენიმე შემთხვევა.

5.1%–მა აღნიშნა, რომ კოლოფი, რომლის შესახებაც ინტერვიუერმა მონაცემები შეაგროვა, არ წარმოადგენდა იმ მომენტში მათ ხელთ არსებულ ერთადერთ კოლოფს. 94.1% ურყოფს მეორე კოლოფის არსებობას, 0.7%–ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 0.1% – უარს ამბობს პასუხზე.

მწვევლები ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად არალეგალურ სიგარეტთან დაკავშირებით ასახელებენ დაბალ ფასს (43.6%), გადასახადების არგადახდას (27.9%) და სიგარეტების დაბალ ხარისხს (20.9%).

რესპონდენტთა მხოლოდ 1%–მა იცის საკუთარ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს თამბაქოს არალეგალური ნაწარმის გაყიდვის შესახებ. საინტერესოა, რომ 0.4%–მა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა, ხოლო 14.7%–მა აღნიშნა, რომ პასუხის გაცემა უჭირდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტთა ამ ნაწილში არალეგალური თამბაქოს გაყიდვის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტებიც არიან, რომლებმაც ინფორმაცია დამალეს (საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე).

სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მწვევლების ბევრად უფრო მეტ წილს აქვს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის არალეგალური გაყიდვების შესახებ (8.8%).

რესპონდენტთა იმ მცირე რაოდენობამ (სულ 55 რესპონდენტი), ვინც ინფორმირებულია არალეგალური სიგარეტის გაყიდვის შესახებ, დაასახელეს ძირითადი ადგილები, სადაც ასეთი პროდუქციის შექმნა შესაძლებელია: ადგილობრივი მაღაზია (47.3%) და ბაზარი (18.2%).


რესპონდენტთა 50.6%-მა დადებითად უპასუხა შეკითხვას, იყიდიან თუ არა მომხმარებლები სიგარეტს, თუ ეცოდინებად მისი არალეგალურობის შესახებ. მხოლოდ 24.2%-მა დააფიქსირა უარყოფითი პასუხი, ხოლო 25.2%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა. ყველაზე მეტად თბილისში მცხოვრები მწვევლები თვლიან, რომ სიგარეტის არალეგალურობა არ იქნება მისი შემენისთვის შემაფარებელი ფაქტორი. საპირისპირო პოზიცია გამოხატეს ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტში გამოკითხულმა რესპონდენტებმა.

## თავი A: მწველთა და მათი ოჯახების ზოგადი სოციო-ეკონომიკური პარამეტრები

გამოკითხვის საწყის ეტაპზე შეგროვდა მონაცემები რესპონდენტთა სქესის, ასაკის, განათლების დონის, მათი ოჯახების შემოსავლებისა და დასაქმების შესახებ. აღნიშნული ცვლადები წარმოადგენენ იმ სოციო-ეკონომიკური პარამეტრებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა უშუალოდ თამბაქოს შეძენა-მოხმარებასთან დაკავშირებული ცვლადების სხვადასხვა კონტექსტში გასაანალიზებლად.


ოჯახებში ინტერვიუსათვის შერჩეული (მწველი) წევრებიდან 79.5% მამაკაცია, ხოლო 20.6% – ქალი. მწველთა საშუალო ასაკი 42 წელია (std. deviation=14.6).საერთო შერჩევისგან განსხვავებულია მონაცემები ქალაქების/მუნიციპალიტეტების მიხედვით: თბილისის ოჯახებში (რომელთაც მწველი წევრები ჰყავთ) შერჩეულ მწველებს შორის ყოველი მეოთხე ქალია, მაშინ როდესაც სხვა ტერიტორიულ ერთეულებში მწველ ქალთა წილი 2–5%–ის ფარგლებში მერყეობს.

დიაგრამა #A.1




რაც შეეხება განათლებას, რესპონდენტთა ყველაზე დიდ ნაწილს (44.9%) სრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ხოლო 31.3% საშუალო განათლებას ფლობს.

დიაგრამა #A.2



რესპონდენტთა ოჯახების საშუალო (Mean) შემოსავალი, მონაცემების მიხედვით, თვეში 1034 ლარს შეადგენს (Median=800). კვლევის მონაწილეთა 53.7%-ია დასაქმებული. შრომისუნარიან დაუსაქმებელთა (უმუშევართა) წილი კი 30.2%-ია. შერჩევაში მოხვედრილი რესპონდენტებიდან 8.2% პენსიონერია, ხოლო 7.5% - შრომისუნარო დაუსაქმებლები და სტუდენტები.


დიაგრამა #A.3



დასაქმების ცვლადი სტატისტიკურად სანდო კორელაციაში აღმოჩნდა ( $\chi^2(3)=2653.142$   $p<0.01$ ) რესპონდენტთა სქესთან. კერძოდ, მამაკაცებს შორის დასაქმებულთა წილი 55.2%-ია, ხოლო ქალებს შორის 48.1%.

რაც შეეხება ასაკობრივი ჯგუფების ჭრილს, აქ წარმოდგენილ 4 ჯგუფში დასაქმების სტატუსები შემდეგ ტენდენციას აჩვენებს: საჯარო ან კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი 45 წლამდე რესპონდენტებში გაცილებით მეტია, ვიდრე 45 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებში; თვითდასაქმებულთა წილი ყველაზე მცირეა ახლაგაზრდებში (18–29წწ.); რაც შეეხება შრომისუნარიან უმუშევრებს, მათი წილი ყველა რეგულაციურ ასაკობრივ ჯგუფში თითქმის თანაბარია (საშუალოდ 30%).

დიაგრამა #A.3



რაც შეეხება თავად დასაქმების სტატუსის მქონეთა შიგნით ასაკობრივი ჯგუფების წილს, დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი 30–44 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება (42.1%). დასაქმებულთაგან 50.3%–ს დასრულებული საუნივერსიტეტო განათლება აქვს (4.9%–ს დაუსრულებელი), ხოლო 27.4%–ს – დასრულებული სასკოლო განათლება. შრომისუნარიან დაუსაქმებლებში უმაღლესი განათლება დასრულებული აქვს შედარებით ნაკლებს (43.3%), ხოლო სასკოლო განათლება – 36.3%–ს.

დასაქმებულების ყველაზე დიდი ნაწილი კერძო სექტორში მუშაობს (44.7%). მესამედი (33.5%) თვითდასაქმებულია, ხოლო 20.7% – საჯარო სამსახურის თანამშრომელი. არასამთავრობო სექტორში დასაქმებულები მომუშავეთა 1.1%–ს შეადგენენ.

ოჯახის მთლიანი ყოველთვიური შემოსავალი დასაქმებულთა კატეგორიაში საშუალოდ (Mean) 1214 ლარია, რაც პენსიონერების ოჯახების საშუალო შემოსავალს 2.36–ჯერ აღემატება.

როგორც წესი, კვლევის მონაწილეები შრომით ანაზღაურებას ყოველთვიურად იღებენ (87.3%), თუმცა, მცირე ნაწილს კუთვნილ ანაზღაურებას ყოველდღიურად (6.2%) ან ყოველკვირეულად (3.1%) უხდიან.




## სექცია B: თამბაქოს პროდუქციის მოხმარების ტენდენციები

### B1. თამბაქოს მოხმარების ტენდენციები შინამეურნეობების დონეზე

იმ შინამეურნეობების წილი, რომელთაც მწვევლი წევრები ჰყავთ, 70%-ია. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ახალციხის მუნიციპალიტეტშია, შინამეურნეობების წილი, სადაც მწვევლი წევრები ჰყავთ, საერთო მაჩვენებელთან შედარებით, 19%-ით მეტია.

დიაგრამა #B1




გამოკითხვაში დარჩნენ ის შინამეურნეობები, რომელთაც ერთი სრულწლოვანი მწვევლი წევრი მაინც ჰყავთ (ასეთ შინამეურნეობებს **სამიზნე შინამეურნეობები** შეიძლება ვუწოდოთ).

სამიზნე შინამეურნეობების (ერთი მწვევლი წევრით მაინც) **ზომა** საშუალოდ (Mean) 3.7 წევრს მოიცავს. შინამეურნეობების ზომა მუნიციპალიტეტების ჭრილში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება – წევრთა რაოდენობა 3-იდან 4-მდე ინტერვალშია მოქცეული. ყველაზე მცირე ზომის შინამეურნეობები, მონაცემების მიხედვით, ქუთაისშია (3.1), ხოლო ყველაზე დიდი - გორში (3.9).

შინამეურნეობაში მწველ წევრთა რაოდენობა საშუალოდ ერთია. საშუალო მაჩვენებელი მუნიციპალიტეტების დონეზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, გარდა თბილისისა, სადაც ოჯახში მწველთა საშუალო რაოდენობა (Mean) 1.5-ია.


დიაგრამა #B2



გარდა იმისა, რომ თბილისში შინამეურნეობების მწველ წევრთა საშუალო რაოდენობა სხვებთან შედარებით მაღალია, მონაცემების მიხედვით, თბილისში ყველაზე მაღალია შინამეურნეობების ზრდასრულ წევრთა შორის მწველი წევრების წილიც (56%)<sup>1</sup>. ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მონაცემები 4%-იან ინტერვალშია მოთავსებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მხრივ მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.

<sup>1</sup> თბილისში გამოკითხულ შინამეურნეობებში 2836 ზრდასრული (18 წლის და მეტი) წევრია. მათგან 56% მწველია.

დიაგრამა #B3




მართალია, განსხვავებები ამ მონაცემებში მცირეა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გორის მუნიციპალიტეტში შინამეურნეობების ყველაზე დიდი ზომისა (საშუალოდ 3.9), მათში მწვევლები სხვებთან შედარებით უფრო იშვიათად გვხვდებიან (52.1%). მწვევლთა შეფარდება ოჯახის სრულწლოვან წევრებთან გორის მუნიციპალიტეტში თითქმის ერთი სამთანაა, როდესაც თბილისში ეს შეფარდება ერთი ორთან არის.


საინტერესოა, როგორ ნაწილდებიან სამიზნე ოჯახების მწვევლი და არამწვევლი წევრები სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

- სამიზნე ოჯახების მამაკაც წევრებს შორის დიდი უმრავლესობა (80%-მდე) მწვევლია, ხოლო ქალებს შორის - ყოველი მეხუთე. მწვევლი მამაკაცების წილი ნაკლებია თბილისში (76.2%), სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით (ყველა დანარჩენში 95%-ზე მეტი).
- სამიზნე ოჯახების ზრდასრულ წევრთა შორის მწვევლთა რაოდენობა ყველაზე მეტია 25-34 წწ. ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს შორის (ყოველი მეოთხე); შემდეგ, 35-44 ასაკობრივ ჯგუფში (22.6%); ყველაზე ნაკლები მწვევლი 65 წლის და უფროსი ასაკის წევრებშია (ასაკობრივ ჯგუფებს შორის ეს თანაფარდობა შენარჩუნებულია ყველა ტერიტორიულ ერთეულში).


დიაგრამა #B4




დიაგრამა #B5



დიაგრამა #B6




დიაგრამა #B7



## B2. თამბაქოს მოხმარების ტენდენციები რესპონდენტებში


კვლევაში მონაწილე ოჯახებიდან (რომელთაც მწვეელი წევრ(ებ)ი ჰყავთ) შერჩეულ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა სიგარეტს.

დიაგრამა #B7




რესპონდენტთა მცირე ნაწილი (5.2%) აღმოჩნდა ისეთი, რომელიც, სიგარეტის გარდა, თამბაქოს სხვა ნაწარმსაც მოიხმარს. სხვა ნაწარმში შედის თამბაქოს ისეთი პროდუქცია, როგორებიცაა ხელით გასახვევი თამბაქო (38.9%), ელექტრონული სიგარეტი (38.2%), ჩილიმი (32.3%) და სხვ.

დიაგრამა #B8



საერთო ჯამში, რესპონდენტთა თითქმის 95% სიგარეტს ეწევა. 4.7%-ია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც სიგარეტის გარდა თამბაქოს სხვა პროდუქტსაც მოიხმარენ და მხოლოდ 0.5%-ია ისინი, რომლებიც სიგარეტის მწვეველები არ არიან, თუმცა თამბაქოს სხვა პროდუქტს მოიხმარენ.


დიაგრამა #B9



## B2. ყოველდღიური და არაყოველდღიური მწევრების თანაფარდობა

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (95.2%) აღნიშნა, რომ ისინი სიგარეტს ყოველდღიურად ეწევიან. მუნიციპალიტეტების მიხედვით ყოველდღიური და არაყოველდღიური მწევრების განაწილება იმეორებს ზოგად ტენდენციას; თუმცა, არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მცირე განსხვავებები: ყოველდღიური მწევრები უფრო მეტია ქუთაისის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და თბილისის შინამეურნეობებში გამოკითხულ რესპონდენტთა შორის, ხოლო შედარებით ნაკლები – ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულ რესპონდენტებში.

### დიაგრამა #B10



რესპონდენტთა იმ ჯგუფში, ვინც საკუთარ თავს ყოველდღიურ მწევრად მიიჩნევს (95.2%), მოწვევის დაწყების საშუალო (Mean) ასაკი 19 წელია (Median=18). მწევრთა იმ კატეგორიაში კი, ვინც აღნიშნავს, რომ სიგარეტს ყოველდღიურად არ ეწევა, მოწვევის დაწყების საშუალო ასაკი უფრო მაღალია – 21.4 წელი (MEDIAN=19).



ყოველდღიური/არაყოველდღიური მწვევლების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილება აჩვენებს, რომ ყოველდღიური მწვევლების წილი ოდნავ იკლებს 18–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში.  
 $\chi^2(3)=420.805 p<0.01$

**ცხრილი #B1**

		18-29	30-44	45-59	60+
ამჟამად, ყოველდღიურად ეწევით სიგარეტს?	ყოველდღიურად	93.3%	95.8%	96.2%	94.5%
	უფრო იშვიათად, ვიდრე ყოველდღიურად	6.7%	4.2%	3.8%	5.5%

**B2.1. ყოველდღიური მწვევლების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები**

დასაქმებულ მწვევლებში ყოველდღიურ მწვევლთა წილი 95.9%-ია. ეს მაჩვენებელი დანარჩენ სამ კატეგორიასთან შედარებით (პენსიონერი, შრომისუნარიანი დაუსაქმებელი და შრომისუნარო დაუსაქმებელი) ყველაზე მაღალია: პენსიაზე მყოფთა კატეგორიაში იგივე მაჩვენებელი 93.7%-ია, შრომისუნარიან დაუსაქმებლებში 95.2%, ხოლო შრომისუნაროებში – 91.8%.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკობრივი ჯგუფების ზრდასთან ერთად იზრდება სიგარეტის ყოველდღიური მოხმარების დაწყების ასაკის საშუალო მაჩვენებლებიც. კერძოდ, თუ 18-29 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების შემთხვევაში სიგარეტის ყოველდღიური მოხმარების საშუალო ასაკი 17 წელია, 30-44 ასაკობრივ ჯგუფში მყოფი რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 19-ს უდრის, ხოლო 60+ ასაკის მქონე პირთა შემთხვევაში - 20-ს. ცენტრალური ტენდენციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი #B2**

სიგარეტის მოწვევის დაწყების ასაკი	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
18-29 წლის	17	3	17	17	28	10
30-44 წლის	19	4	18	20	41	9
45-59 წლის	20	5	18	18	56	5
60+ წლის	21	8	19	20	66	10

ANOVA ტესტის შედეგებიც აჩვენებს, რომ სიგარეტის ყოველდღიურად მოწვევის დაწყების ასაკი მით უფრო დაბალია, რაც უფრო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება მწვეველი. კერძოდ, ტესტმა აჩვენა რომ 18-29 წლის მწვევლებს 1.5 წლით ადრე აქვთ მოწვევა დაწყებული, ვიდრე 30-44 წლისებს, 2.7 წლით ადრე, ვიდრე 45-59 ასაკის პირებს და 3.4 წლით ადრე, ვიდრე 60+ ასაკის მწვევლებს. განსხვავება ასაკობრივ ჯგუფების მონაცემებისა და სიგარეტის მოწვევის დაწყების მონაცემების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი #B3

	A3. HOW OLD ARE YOU?	(J) A3. HOW OLD ARE YOU?	MEAN DIFFERENCE (I-J)	STD. ERROR	SIG.	95% CONFIDENCE INTERVAL	
						Lower Bound	Upper Bound
Tukey HSD	18-29	30-44	-1.505*	.036	.000	-1.60	-1.41
		45-59	-2.775*	.038	.000	-2.87	-2.68
		60+	-3.405*	.046	.000	-3.52	-3.29
	30-44	18-29	1.505*	.036	.000	1.41	1.60
		45-59	-1.270*	.034	.000	-1.36	-1.18
		60+	-1.900*	.044	.000	-2.01	-1.79
	45-59	18-29	2.775*	.038	.000	2.68	2.87
		30-44	1.270*	.034	.000	1.18	1.36
		60+	-.630*	.045	.000	-.75	-.51
	60+	18-29	3.405*	.046	.000	3.29	3.52
		30-44	1.900*	.044	.000	1.79	2.01
		45-59	.630*	.045	.000	.51	.75

ცენტრალური ტენდენციების მიხედვით, **დასაქმებულმა** მწვეველებმა, როგორც წესი, 19 წლის ასაკში დაიწყეს სიგარეტის ყოველდღიურად მოწევა. პენსიონერებში აღნიშნული ასაკი 21 წელია. როგორც შრომისუუნარო, ისე შრომისუუნარიან დაუსაქმებლებში კი ყოველდღიურად სიგარეტის მოწევის დაწყების ასაკი ყველაზე დაბალია –18 წელი.

სხვაობა მოწევის დაწყების საშუალო ასაკებს შორის საკმაოდ დიდია **სქესის** მიხედვით: მამაკაცები 4 წლით უფრო ადრე იწყებენ სიგარეტის მოწევას (Mean =18 წელს), ვიდრე ქალები (Mean=22 წელს).


ცხრილი #B3

რამდენი წლის იყავით, როდესაც დაიწყეთ სიგარეტის მოწევა?	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
მამრობითი	18	4	18	18	66	5
მდედრობითი	22	7	20	20	60	10

**ტერიტორიული ერთეულების** კრილში მოწევის დაწყების საშუალო ასაკი პრაქტიკულად ერთნაირია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საცხოვრებელი ადგილი, სხვა პარამეტრებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად ახდენს გავლენას სიგარეტის მოწევის დაწყების ასაკზე.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ყოველდღიურ მწვეველებში ფილტრიანი სიგარეტის გარდა თამბაქოს სხვა პროდუქციის მოხმარება ნაკლებადაა გავრცელებული როგორც საერთო შერჩევაში, ისე სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის კრილში. ოდნავ გამოირჩევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სადაც სიგარეტის გარდა სხვა ტიპის პროდუქციას ყოველდღიურად 1%-ზე მეტი მოიხმარს.

დიაგრამა #B11



გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ყოველდღიური მწევლეები საშუალოდ 19.6 ფილტრიან, ხოლო 1.9 უფილტრო სიგარეტს ეწევიან დღეში. ეს მაჩვენებლები იცვლება ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში: 18-29 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები დღეში საშუალოდ 18 ღერ ფილტრიან სიგარეტს ეწევიან (Median=20); 30-44 ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში ეს მაჩვენებლები (საშუალო და მედიანა) 20-ს უდრის. 60+ ასაკის რესპონდენტების შემთხვევაში კვირის განმავლობაში მოწეული ფილტრიანი სიგარეტის ღერების საშუალო მაჩვენებელი 17-ია, ხოლო მედიანა – 16.

## ცხრილი #B4

ასაკი	ფილტრიანი სიგარეტი			უფილტრო სიგარეტი		
	Mean	Median	Std. Deviation	Mean	Median	Std. Deviation
18-29	18.57	20	9.13	0.61	0	3.654
30-44	20.44	20	10.619	0.94	0	4.685
45-59	20.37	20	9.998	3.09	0	9.539
60+	17.66	20	8.626	3.85	0	9.185

## B2.2. არაყოველღიური მწვევლების განაწილება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით

თამბაქოს მოხმარების შესახებ იმავე ტიპის ინფორმაციის შეგროვება მოხდა იმ მწვევლებშიც, რომლებიც საკუთარ თავს ყოველღიურ მწვევლად არ მიიჩნევენ. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ჯგუფი მწვევლთა საკმაოდ მცირე ნაწილს, 4.8%-ს შეადგენს, მათ შესახებ სხვადასხვა მონაცემები დათვლილია, როგორც ერთ ჰომოგენურ ჯგუფზე.

ცენტრალური ტენდენციების მიხედვით, მწვევლთა ამ კატეგორიაში მოწვევის დაწყების საშუალო ასაკი 20 წელია (Median=19 წელს):

## ცხრილი #B5

ცენტრალური ტენდენციები არაყოველღიურად მწვევლებში მოწვევის დაწყების ასაკის შესახებ	
N	126
Mean	20.35
Median	19.00
Std. Deviation	5.126
Range	26
Minimum	10
Maximum	36

აღნიშნული ჯგუფის მცირე ზომის გამო სულ ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა, როდესაც ამ კატეგორიის მწვევლები ფილტრიანი სიგარეტის გარდა თამბაქოს სხვა ტიპის ნაწარმს მოიხმარდნენ (14 შემთხვევაში - უფილტრო სიგარეტს, ხოლო 2 შემთხვევაში - ხელით გასახვევ თუთუნს).

რაც შეეხება ფილტრიანი სიგარეტების მოხმარებას, არაყოველღიური მწვევლები კვირაში საშუალოდ (Mean) 23 ღერს სიგარეტს ეწევიან (Median=20 ღერს). საშუალოდ კვირის განმავლობაში მოწეული ღერების მიხედვით არაყოველღიურ მწვევლებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ვლინდება არც სქესის, არც ასაკობრივი ჯგუფებისა და არც დასაქმების სტატუსის მიხედვით.

## თავი C. ქარხნული სიგარეტი

### C1. შეძენილი სიგარეტების რაოდენობა

კვლევის ფარგლებში მწვევლებისგან მოპოვებულ იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სახის და რა რაოდენობით თამბაქოს პროდუქცია შეიძინეს ბოლოს. აღნიშნული შესყიდვები ფიქსირდებოდა სიგარეტის ცალობით, კოლოფით ან მთლიანი შეკვრით შესყიდვის შემთხვევებში ცალ-ცალკე. დამატებით, ასევე დაფიქსირდა მომხმარებლების მიერ სიგარეტის ცარიელი მილების ბოლო შესყიდვაც.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ცალობით სიგარეტს მწვევლ რესპონდენტთა 14.5% იძენს, კოლოფით – 96.4%, ხოლო მთლიანი შეკვრით – 8.3%. სიგარეტის ცარიელი მილები შეძენილი აქვს 1.8%-ს.

იმ მწვევლებმა, რომლებიც სიგარეტს ცალობით იძენენ (ასეთი კი ჯამში 14.5%-ია), ბოლო შეძენისას საშუალოდ (Mean) 14 ღერი შეიძინეს. კოლოფით სიგარეტის ბოლო შეძენის შემთხვევაში (ასეთია მწვევლთა 96.4%), სიგარეტების (რომლებიც კოლოფშია მოთავსებული) რაოდენობა კი საშუალოდ (Mean) 23.7 ღერია, რაც იმის შედეგია, რომ მწვევლთა იმ ნაწილიდან, ვისაც ბოლოს სიგარეტი კოლოფით ჰქონდა შეძენილი, თითქმის 10%-ს ერთზე მეტი კოლოფი ჰქონდა ნაყიდი (ძირითადად, 2 კოლოფი). რაც შეეხება მწვევლთა იმ მცირე ნაწილს (8.3%), ვინც ბოლოს სიგარეტი მთლიანი შეკვრით შეიძინა, მათ მიერ ნაყიდი სიგარეტების რაოდენობა საშუალოდ (Mean) 293 ღერი გამოვიდა. ამ შემთხვევაში, 1-იდან 8 მწვევლს სიგარეტის ერთი შეკვრა ჰქონდა ნაყიდი, ხოლო 13.2%-ს – 2. ძალიან მცირე იყო მათი წილი, ვინც ბოლოს სიგარეტის შესყიდვისას 3 და მეტი შეკვრა იყიდა. რაც შეეხება სიგარეტის ცარიელ მილებს, ბოლოს ისინი რესპონდენტთა 1.8%-მა შეიძინა, ხოლო შეძენილი მილების საშუალო რაოდენობა (Mean) 67.4 სიგარეტის მილია.

შეძენილი სიგარეტების რაოდენობა, ტერიტორიული ერთეულების ჭრილში, აჩვენებს, რომ საშუალოდ ყველაზე მეტ სიგარეტს (ცალობით ან კოლოფებით) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იძენენ, ხოლო ყველაზე ნაკლებს – ქუთაისში.<sup>2</sup>

#### ცხრილი #C.1


შეძენილი სიგარეტების რაოდენობა	Mean	Std. Deviation	Median
თბილისი	14.93	11.190	20.00
ქუთაისი	4.31	5.269	3.00
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	22.04	11.160	20.00
ახლციხის მუნიციპალიტეტი	7.87	9.121	1.00
გორის მუნიციპალიტეტი	20.33	9.248	20.00
საერთო მაჩვენებელი	14.16	11.232	20.00

<sup>2</sup>ტერიტორიული ერთეულების ჭრილში განხილული ეს მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $p < 0.01$

ANOVA Table

		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
შემენილი სიგარეტების რაოდენობა, ტერიტორიული ერთეულების ჭრილში	Between Groups (Combined)	284911.837	4	71227.959	633.785	0.000
	Within Groups	2322515.089	20666	112.385		
	Total	2607426.927	20670			

დიაგრამა #C1



სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტების მიერ ბოლოს მათთვის ნაყიდი სიგარეტების რაოდენობა განსხვავდება სქესის ჭრილში. კერძოდ, ცალკობით შემენილი სიგარეტების საშუალო რაოდენობა უფრო მეტია ქალებში (Mean = 17), ვიდრე მამაკაცებში (Mean = 13), მაშინ როდესაც კოლოფებით ან მთლიანი შეკვრით შემენილი სიგარეტების საშუალო რაოდენობა მამაკაცებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში (მაგ., მთლიანი შეკვრის სახით, მამაკაცები საშუალოდ 349 ღერს ყიდულობენ, ხოლო ქალები – 221 ღერს).<sup>3</sup>

<sup>3</sup> სქესი ჭრილში მონაცემების განხილვა სტატისტიკურად სანდოა.

## ცხრილი #C.2

ბოლოს შეიძინეთსიგარეტი თქვენთვის, სიგარეტი იყიდეთ? როცა რამდენი	მამრობითი						მდედრობითი					
	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
სიგარეტი ცალობით	13	12	20	20	80	1	17	8	20	20	40	1
კოლოფი	24	23	20	20	600	20	22	10	20	20	140	10
მთლიანი შეკვრა	349	864	200	200	8000	200	221	90	200	200	600	200
სიგარეტის მიღები ცარიელი	68	115	20	20	500	8	2		2	2	2	1
სხვა	131	97	100	50	300	5	20	0	20	20	20	20

## C2. შესყიდული სიგარეტის ღირებულება

მოპოვებული მონაცემების მიხედვით, სიგარეტის (ცალობით, კოლოფებით ან შეკვრით) ბოლოს განხორციელებული შესყიდვის ღირებულება ლარში საშუალოდ (Mean) 8.1 ლარია (Median=4 ლარს).

მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების მიხედვით სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ თბილისში რესპონდენტების მიერ გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებელი (Mean=8,9) მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ტერიტორიულ ერთეულებში რესპონდენტთა მიერ გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებლებს (მაგალითად, ქუთაისში Mean=4.1 ლარს, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში Mean=4.3 ლარს).<sup>4</sup>

## ცხრილი #C.3

რესპონდენტთა მიერ ბოლოს შეძენილ სიგარეტში გადახდილი თანხა (ლარებში)	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
თბილისი	8,9	35,7	4,1	4,2	860	0
ქუთაისი	4,1	2,5	4	4,2	42	0
ზუგდიდი	4,3	3,4	3,9	4	36	0
ახლციხე	5	6,5	3,9	5	70	0,5
გორი	6	9,9	3,8	2,3	136	0
მუნიციპალიტეტები მაჩვენებელი)	(საერთო 8,1	32,2	4	4,2	860	0

<sup>4</sup> სიგარეტში გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებები ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ჭრილში სტატისტიკურად სანდოა ( $p < 0.01$ ).

ANOVA Table

			Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
თამბაქოს პროდუქტში ბოლოს გადახდილი თანხის საშუალო მუნიციპალიტეტების ჭრილის მიხედვით	Between Groups	(Combined)	367372.134	4	91843.033	89.036	.000
	Within Groups		145803027.045	141347	1031.528		
	Total		146170399.178	141351			

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტების მიერ სიგარეტში გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებელი არის 8.6 ლარი, ხოლო მედიანა – 4 ლარი; გადახდილი თანხის მაქსიმალური ოდენობა 860 ლარია. ქალების შემთხვევაში, გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებლები იკლებს: Mean = 6.2 ლარს; რაც შეეხება მედიანურ მაჩვენებლს, ის, ქალების შემთხვევაშიც, 4 ლარის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ როგორც ქალი, ასევე კაცი რესპონდენტების ნახევარზე მეტმა შეძენილ სიგარეტში 4 ლარი გადაიხადა.<sup>5</sup>

#### ცხრილი #C.4

მამაკაცების/ქალების მიერ ბოლოს შეძენილ სიგარეტში გადახდილი თანხა (ლარებში)	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
მამრობითი	8,6	35,8	4	4,2	860	0
მდედრობითი	6,2	9,2	4	4	96	1

ANOVA Table

			Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
თამბაქოს პროდუქტში ბოლოს გადახდილი თანხის საშუალო სქესის ჭრილის მიხედვით	Between Groups	(Combined)	141134.001	1	141134.001	136.611	.000
	Within Groups		146029265.178	141350	1033.107		
	Total		146170399.178	141351			

შეძენილ სიგარეტში გადახდილი თანხის ოდენობა სტატისტიკურად სანდო კავშირშია რესპონდენტთა ასაკთან: 18-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი რესპონდენტების მიერ სიგარეტის ბოლო შენაძენში გადახდილი თანხის ჯამური ოდენობის საშუალო მაჩვენებელია (Mean) 9.4 ლარი, ხოლო მედიანა – 4.2 ლარი. გადახდილი თანხის მაქსიმალური რაოდენობა არის 860 ლარი. 30-44 წლამდე რესპონდენტების შემთხვევაში გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებელია (Mean) 7.2 ლარი, ხოლო მედიანა – 4 ლარი. რაც შეეხება 45-59 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებს, მათ მიერ გადახდილი თანხა საშუალოდ (Mean) უდრის 8.7 ლარს,

<sup>5</sup>სიგარეტში გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებები სქესის ჭრილში სტატისტიკურად სანდოა ( $p < 0.01$ ).



ხოლო მედიანა ამ შემთხვევაში არის 3.8. გადახდილი თანხის მაქსიმალური რაოდენობაა 450 ლარი.

მონაცემების T-test გვიჩვენებს, რომ მაშინ, როცა 30-44 წლამდე რესპონდენტებს აქვთ უფრო მაღალი შემოსავალი და მათი უფრო მეტი ნაწილია დასაქმებული, ფიქსირდება ფაქტი, რომ ისინი უფრო ნაკლებს ხარჯავენ სიგარეტში, ვიდრე 45-59 წლამდე ასაკის რესპონდენტები.

### ცხრილი #C.5

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიერ ბოლოს შეძენილ სიგარეტში გადახდილი თანხა (ლარებში)	Mean	St. deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
18-29	9.4	50.4	4.2	4.2	860	0.0
30-44	7.2	21.6	4	4	400	0.0
45-59	8.7	28.8	3.8	4	450	5
60+	7.2	11.7	3.4	2.3	96	0.2

ANOVA Table

		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
თამბაქოს პროდუქტში ბოლოს გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით	Between Groups	(Combined) 130764.003	3	43588.001	42.188	.000
	Within Groups	146039635.175	141348	1033.195		
	Total	146170399.178	141351			

### C3. სიგარეტის გაზიარება ოჯახის წევრებისთვის

გამოკითხვა აჩვენებს, რომ მწვევლებში ოჯახის წევრებისთვის სიგარეტის გაზიარების პრაქტიკა გავრცელებული არ არის: მხოლოდ დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპონდენტი (18.9%) აცხადებს, რომ უზიარებს ოჯახის წევრებს საკუთარ სიგარეტს. დიდი უმრავლესობა (81.3%) ამას უარყოფს.

მონაცემები საკუთარი სიგარეტის ოჯახის სხვა წევრებისათვის გაზიარების შესახებ სტატისტიკურად სანდო განსხვავებას რესპონდენტთა დასაქმებულობის სტატუსის ჯგუფში: თუ დასაქმებულთა 17.5% უზიარებს საკუთარ სიგარეტს ოჯახის წევრებს, დაუსაქმებლებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია: შრომისუნარიან დასაქმებულებში – 21.7%, ხოლო შრომისუნაროებში – 25.7%.

სტატისტიკურად სანდო განსხვავებას იძლევა, ასევე, რესპონდენტთა ასაკიც: 18-29 ასაკობრივი ჯგუფის თითქმის მეოთხედმა (24.1%) აღნიშნა, რომ მათ საკუთარი სიგარეტი ოჯახის წევრებისთვისაც უწილადებიათ. 30-44 ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 18.4%-ია. ასაკობრივი ცენზის მატებასთან ერთად მცირდება იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ საკუთარი სიგარეტი მათივე ოჯახის სხვა წევრებისთვისაც უწილადებიათ (60+ ასაკის რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უტოლდება 10.1%-ს).

სტატისტიკურად სანდო მიმართება რესპონდენტის ასაკსა და ამავე რესპონდენტის მიერ საკუთარი სიგარეტის ოჯახის სხვა წევრებისთვის გაზიარების ფაქტს შორისა შემდეგი ჩანაწერიდანსტურებს:  $\chi^2=(6) 1826,727 p<0.01$

**ცხრილი #C.6**

თქვენი ოჯახის სხვა წევრებისთვის თუ გიწილადებიათ თქვენი სიგარეტი?	18-29	30-44	45-59	60+
დიახ	24,1%	18,4%	18%	10,1%
არა	75,9%	81,4%	82%	89,9%


თბილისში გამოკითხული პირების მეხუთედმა აღნიშნა, რომ მათ საკუთარი სიგარეტი ოჯახის წევრებისთვისაც უწილადებიათ. შედარებით დაბალია იმ რესპონდენტების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი სხვა ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიც საკუთარ სიგარეტს ოჯახის წევრებსაც აძლევდნენ. მაგალითად ქუთაისში ეს მაჩვენებელი უტოლდება 12,1%-ს, ხოლო ზუგდიდში 12,3%-ს. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად სანდო მიმართებაა რესპონდენტის საცხოვრებელ მუნიციპალიტეტსა და ამავე რესპონდენტის მიერ საკუთარი სიგარეტის ოჯახის წევრებისთვის გაზიარების ფაქტს შორის.

**ცხრილი #C.7**

თქვენი ოჯახის სხვა წევრებისთვის თუ გიწილადებიათ თქვენი სიგარეტი?	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ახალციხე	გორი
დიახ	20,2%	12,1%	12,3%	10,7%	12%
არა	79,7%	87,6%	87,7%	88,7%	88%

$\chi^2=(8) 1126,191, p<0.01$


**დიაგრამა #C2**



#### C4. სიგარეტის ბრენდები და მათი შეძენის ობიექტები

რესპონდენტებმა დაასახელეს იმ სიგარეტების ბრენდები, რომლებიც ბოლოს შეიძინეს. გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (13.6%) ამბობს, რომ მათ ბოლოს შეიძინეს ქართული ბრენდი – „პირველი“, 12.3%-მა აღნიშნა, რომ იყიდა „ვილსონი“; „პარლამენტისა“ და „კენტი“ ბრენდების სიგარეტები რესპონდენტთა თანაბარმა რაოდენობამ შეიძინა (10.2% თითოეული), „მარლბორო“ – 9.4%-მა, ხოლო „ფილიპ მორისი“ – 8.6%-მა. სხვა ბრენდების წილი 6% და უფრო დაბალია.

დიაგრამა #C3




დასახელებული სიგარეტების შესყიდვები, ძირითადად, განხორციელდა სუპერმარკეტში/მაღაზიაში (73.6%), ან თამბაქოს ჯიხურში/კიოსკში (21.9%). შესყიდვის სხვა წერტილებს, როგორებიცაა ქუჩის დახლი, ან საბითუმო მაღაზია, მცირე წილი აქვთ.

როგორც აღმოჩნდა, ის ფაქტი, თუ სად (რომელ მუნიციპალიტეტში ან ქალაქში) ცხოვრობენ რესპონდენტები, გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა ტიპის სავაჭრო ობიექტში ყიდულობენ ისინი სიგარეტს: ყველაზე პოპულარული სავაჭრო ადგილი ყველა ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები რესპონდენტისთვის სუპერმარკეტი ან მაღაზიაა; თუმცა, თბილისელი და ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მწველელებისთვის, სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან

შედარებით, გავრცელებულია, ასევე, სიგარეტის კიოსკში/ჯიხურში შეძენის პრაქტიკა (თბილისელთა 24.3% და ახალციხის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა 22.8%). (სიგარეტის შესაძენ ობიექტსა და მუნიციპალიტეტს შორის სტატისტიკურად სანდო მიმართება გამოვლინდა  $\chi^2=(20) 4226,146, p<0.01$ ).<sup>6</sup>

დიაგრამა #C4



ცხრილი #C.8

სად იყიდეთ ბოლოს სიგარეტი?	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	გორის მუნიციპალიტეტი
კიოსკში (ჯიხურში)	24,3%	13,8%	7,5%	22,8%	11%
სუპერმარკეტში/მაღაზიაში	71,2%	85,6%	81,7%	67,5%	84,9%
ქუჩის სტენდზე/ქუჩაში	1,3%		2,2%	2,9%	1,6%
სახლში განთავსებულ მაღაზიაში	0,9%		0,9%	5,7%	1,6%
სხვა	1,8%	0,6%	7,3%	0,6%	0,6%

ირკვევა, რომ რესპონდენტთა ასაკი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა ტიპის ობიექტებში ყიდულობენ ისინი სიგარეტს. კერძოდ, კიოსკი/ჯიხური უფრო მეტად მისაღები სავაჭრო

<sup>6</sup>სტატისტიკურად სანდო მიმართება ვლინდება რესპონდენტების საცხოვრებელ მუნიციპალიტეტებსა და იმ ობიექტებს შორის, სადაც ეს რესპონდენტები ყიდულობენ სიგარეტს:  $\chi^2=(20) 4226,146, p<0.01$ .

ადგილია საშუალო და უფროსი ასაკის (45–59 და 60+ ასაკობრივი ჯგუფები) მწვევლებისთვის, ვიდრე ახალგაზრდებისთვის. სიგარეტის შესაძენ ობიექტსა და რესპონდენტის ასაკს შორის სტატისტიკურად სანდო მიმართება გამოვლინდა.<sup>7</sup>

**ცხრილი #C.9**

სად იყიდეთ ბოლოს სიგარეტი?	18-29	30-44	45-59	60+
კოსკში (ჯიხურში)	22,4%	16,9%	26,1%	25,4%
სუპერმარკეტში/მაღაზიაში	73,4%	79,1%	70,5%	65,7%
ქუჩის სტენდზე/ქუჩაში	1,8%	0,7%	1,3%	2,2%
სახლში განთავსებულ მაღაზიაში	0,8%	1,1%	0,7%	1,6%
სხვა	1,2%	2,2%	1,3%	5,1%

რესპონდენტთა დასაქმების კრილში, ყველა კატეგორიაში, მწვევლთა უდიდესი ნაწილი, საერთო შერჩევის მსგავსად, სიგარეტს მაღაზიაში ან სუპერმარკეტში ყიდულობს, ხოლო მაღაზიათა ალტერნატივა, ამ შემთხვევაშიც, თამბაქოს ჯიხურებია. თუმცა, პენსიონერების შემთხვევაში, ჯიხურებში სიგარეტის ყიდვის პრაქტიკა საერთო მონაცემებთან შედარებით 5.8%-ით მაღალია, ხოლო შრომისუნარობებში – 5.6%-ით. ასევე, სხვა კატეგორიებისგან განსხვავებით, პენსიონერების უფრო მეტი წილი ყიდულობს სიგარეტს გარემ ოვაჭრეებისგან, ბაზარში ან საბითუმო მაღაზიებში.

**ცხრილი #C.10**

სად იყიდეთ ბოლოს სიგარეტი?	დასაქმებული	პენსიონერი/სტუდენტი	დაუსაქმებელი, შრომისუნარიანი	დაუსაქმებელი, შრომისუნარო	საერთო
კოსკში (ჯიხურში)	20,7%	27,7%	21,2%	27,5%	21,9%
სუპერმარკეტში/მაღაზიაში	74,7%	61,7%	75,5%	70,7%	73,6%
ქუჩის სტენდზე/ქუჩაში	1,6%	3,2%	0,4%	1,1%	1,3%
სახლში განთავსებულ მაღაზიაში	1,0%	2,2%	0,7%	0,3%	1,0%
სხვა	2,1%	5,1%	2,3%	0,4%	2,2%


რესპონდენტები, აგრეთვე, საუბრობენ იმ ძირითად მიზეზებზე, თუ რატომ გადაწყვიტეს, რომ ამა თუ იმ სავაჭრო ობიექტში შეეძინათ სიგარეტი.

დასახელებულ ლოკაციებზე სიგარეტის შეძენის მიზეზები ერთგვაროვანია – მწვევლებმა სიგარეტი აღნიშნულ წერტილში სახლთან ახლომდებარეობის (81.6%) ან სამუშაო ადგილთან ახლომდებარეობის (16.8%) გამო შეიძინეს. შედარებით მცირე ნაწილისათვის (8.7%) გადაწყვეტი ფაქტორი ყველაზე დაბალი ფასი იყო.

<sup>7</sup>სტატისტიკურად სანდო მიმართება ვლინდება რესპონდენტების ასაკსა და იმ ობიექტებს შორის, სადაც ეს რესპონდენტები ყიდულობენ სიგარეტს  $\chi^2=(36)5467,043, p<0.01$

თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში შენარჩუნდა სავაჭრო ობიექტების შერჩევის ზემოაღნიშნულ მიზეზთა პრიორიტეტულობა. თუმცა, დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებიც: ქუთაისელების დიდი უმრავლესობისთვის, სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით, წამყვანი მიზეზია სახლთან სიახლოვე; სავაჭრო ობიექტში სიგარეტის სიაფეს უფრო მეტად გამოკვეთენ ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მწვევლები და ა.შ.

დიაგრამა #C5



რესპონდენტთა მიერ სიგარეტის კონკრეტულ ობიექტში ყიდვის მიზეზსა და მუნიციპალიტეტს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოვლინდა:

**ცხრილი #C.11**

რატომ იყიდეთ სიგარეტი ამ სავაჭრო ობიექტში?	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	გორის მუნიციპალიტეტი
სახლთან ახლოსაა	69.5	81.8	67.3	56	71.7
სამსახურთან ახლოსაა	14.5	13.5	12.8	17.6	15.1
იქ არის ყველაზე იაფი	8	3.2	8.1	10.5	4.3
მჭირდებოდა სხვა ნივთების ყიდვაც იმავე მაღაზიაში	4.3	0.6	8.1	10.5	5.9
მომწონს მაღაზია	1.2	0.7	2.3	3.7	1.8

მართალია, დასაქმების სხვადასხვა სტატუსით დიფერენცირებულ რესპონდენტთა ჯგუფებში, საერთო შერჩევის მსგავსად, ამა თუ იმ ადგილას სიგარეტის შეძენის ყველაზე წონადი მიზეზი ადგილმდებარეობაა (სახლთან ან სამსახურთან ახლოს ყოფნა), თუმცა, აღსანიშნავია ერთი თავისებურება: პენსიონერთათვის სახლთან ახლოს ყოფნის შემდეგ მნიშვნელოვანი მიზეზი ყველაზე იაფი ფასია (12.9%), რაც საერთო შერჩევის მონაცემებზე ორჯერ მეტია). აღნიშნული მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ პენსიონერები მიეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომლისთვისაც დაბალი ფასი სხვებთან შედარებით ბევრად მნიშვნელოვანია.

**ცხრილი #C.12**

რატომ იყიდეთ სიგარეტი ამ სავაჭრო ობიექტში?	დასაქმებული	პენსიონერი/სტუდენტი	უმუშევარი, შრომისუნარიანი	უმუშევარი, შრომისუნარო	საერთო
სახლთან ახლოსაა	61%	77,3%	84%	83,9%	70,2%
სამსახურთან ახლოსაა	23,9%	2,9%	1,2%	0,4%	14,4%
იქ არის ყველაზე იაფი	6,7%	12,9%	7,9%	6,4%	7,4%
მჭირდებოდა სხვა ნივთების ყიდვაც იმავე მაღაზიაში	5,3%	3,4%	3,2%	2,8%	4,4%
მომწონს მაღაზია	0,9%	1,1%	1,7%	3,3%	1,3%
სხვა	3,1%	2,3%	2,1%	3,3%	2,2%


**C5. სიგარეტის კოლოფის მონიტორინგი**

**C5.1. რესპონდენტთა თანხმობა სიგარეტის კოლოფის ჩვენებაზე**

თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული გარკვეული ტენდენციების გამოსაკვეთად კვლევაში მონაწილეებს ინტერვიუებმა სთხოვეს, ეჩვენებინათ ინტერვიუს დროს მათ ხელთ არსებული სიგარეტის კოლოფი. რესპონდენტების 77% ინტერვიუერის თხოვნას დათანხმდა. თანხმობის შემდეგ რესპონდენტებმა ჩაინიშნეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რა ტიპის და ბრენდის სიგარეტი ჰქონდა რესპონდენტს, ჰქონდა თუ არა სიგარეტის კოლოფს აქციზი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამაფრთხილებელი წარწერა და ა.შ.

რესპონდენტების მზაობა, მიეცათ უფლება ინტერვიუერებისთვის, რათა მათ მოეხდინათ სიგარეტის კოლოფის მონიტორინგი, განსხვავდება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით და ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა.<sup>8</sup>კერძოდ, თბილისში გამოკითხული პირების დიდმა უმრავლესობამ (80.1%) ინტერვიუერების თხოვნას დადებითად უპასუხა, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულში დაახლოებით 30–დან 40%–მდე მერყეობს იმ მწვევლების რაოდენობა, ვინც ინტერვიუერის თხოვნა არ/ვერ დააკმაყოფილა ორი მიზეზით: ა) ძირითადი მიზეზია რესპონდენტების განაცხადი იმის შესახებ, რომ მათ სიგარეტის კოლოფი თან არ აქვთ; ბ) მეორე მიზეზია რესპონდენტთა მცირე ნაწილის (1–4%) უარი სიგარეტის კოლოფის ჩვენებაზე. სიგარეტის კოლოფის ინტერვიუერისათვის ჩვენების მიმართ ყველაზე რეზისტენტულები ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მწვევლები აღმოჩნდნენ.

დიაგრამა #C6



<sup>8</sup>ამაზე მეტყველებს შემდეგი ჩანაწერი:  $\chi^2=(8)3209,768 p<0.01$




## C5.2. კოლოფში აღმოჩენილი სიგარეტის სახეობა

რესპონდენტთა სიგარეტის კოლოფების მონიტორინგის მიხედვით ირკვევა, რომ მწვევლთა 92.3% ფილტრიან სიგარეტს მოიხმარს. 7.6%-ს შეადგენენ ისინი, ვინც უფილტრო სიგარეტს ეწევა, ხოლო ძალიან მცირეა (0.1%) მათი წილი, ვინც ხელით გასახვევ თუთუნს იყენებს.

თითოეული ტერიტორიული ერთეულის შემთხვევაში, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის კოლოფში აღმოჩნდა სიგარეტი. რაც შეეხება სიგარეტის სახეობას, აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (93%) და ქუთაისის, ზუგდიდის, ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ეწევა ფილტრიან სიგარეტს. უფილტრო სიგარეტის მწვეველი რესპონდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ახალციხეში, ხოლო ყველაზე დაბალი – თბილისში. რესპონდენტების ძალიან მცირე ნაწილი თბილისში (0.1%) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (1.4%) იყენებს ხელით დასახვევ სიგარეტებს.<sup>9</sup>

დიაგრამა #C7



სიგარეტის სახეობა, რაც კოლოფის მონიტორინგისას გამოვლენდა, სტატისტიკურად სანდო კავშირში აღმოჩნდა, აგრეთვე, რესპონდენტთა ასაკთან: 18-29 ასაკობრვი ჯგუფის რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (99%) აღმოაჩნდა ფილტრიანი სიგარეტი, ხოლო ასაკის მატებასთან

<sup>9</sup>კორელაციური ანალიზის საფუძველზე სტატისტიკურად სანდო მიმართება გამოვლინდა ტერიტორიულ ერთეულებსა და რესპონდენტების მიერ მოხმარებული სიგარეტის სახეობას შორის, რასაც შემდეგი ჩანაწერი ადასტურებს:  $\chi^2=(8) 884,237 p<0.01$

ერთად იკლებს იმ რესპონდენტების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც ფილტრიანი სიგარეტი ჰქონდათ. კერძოდ, 60+ ასაკის რესპონდენტების მხოლოდ 79.9%-ს აღმოაჩნდ ფილტრიანი სიგარეტი, ხოლო 30-44 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებიდან – 95%-ს.

10

### ცხრილი #C.13

სიგარეტის ტიპი	18-29 წწ.	30-44 წწ.	45-59 წწ.	60+ წწ.
ფილტრიანი	99%	95%	89,4%	79,9%
უფილტრო	0,9%	4,6%	10,5%	20%

$\chi^2(6)=5961.477 p<0.01$


საკმაოდ დიდი განსხვავებაა **დასაქმების სტატუსის** მიხედვით გამოყოფილ რესპონდენტთა ჯგუფებში ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების მოხმარების თვალსაზრისით: თუ ინტერვიუერისათვის ნაჩვენები სიგარეტი დასაქმებულების 95.8%-ში ფილტრიანი აღმოჩნდა, პენსიონერებში ასეთი სიგარეტი 82.9%-ს ჰქონდა (დანარჩენ 17.1%-ს კი – უფილტრო). შრომისუნარიან დაუსაქმებლებში უფილტრო სიგარეტი აღმოაჩნდა 11.2%-ს, ხოლო შრომისუნაროებში – 7.3%-ს.

### C5.3. აქციზი კოლოფზე

რაც შეეხება უშუალოდ სიგარეტის კოლოფის შეფუთვის, **შემთხვევათა 99%-ში კოლოფს აქვს ქართული აქციზი**. კვლევაში იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც კოლოფს რუსული (0.01%), აფხაზური (0.07%) ან სომხური (0.004%) აქციზი ჰქონდა დაკრული, ხოლო სულ კოლოფების 0.1% იყო ისეთი, რომლებსაც აქციზი საერთოდ არ გააჩნდა.

<sup>10</sup>რესპონდენტების ასაკობრივ ჯგუფებსა და მათ მიერ შეძენილ სიგარეტის სახეობებს შორის სტატისტიკურად სანდო მიმართებას აჩვენებს შემდეგ ჩანაწერი:  $\chi^2=(6) 5961,477, p<0.01$ .

დიაგრამა #C8



აღსანიშნავია, რომ თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის სიგარეტის კოლოფებს ჰქონდა ქართული აქციზი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემოწმებული კოლოფების 2.5%-ს აღმოაჩნდა აფხაზური აქციზი, ხოლო 0.4%-ს – რუსული აქციზი; სომხური აქციზი ჰქონდა დაკრული ახალციხის მუნიციპალიტეტში შემოწმებული სიგარეტის კოლოფების 0.3%-ს. სიგარეტის უაქციზო კოლოფები დაფიქსირდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (1.8%), გორის მუნიციპალიტეტში (1.3%) და თბილისში (0.4%).<sup>11</sup>

**ცხრილი #C.14**


სიგარეტის სახეობა	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	გორის მუნიციპალიტეტი
ქართული აქციზი	99,1%	99,7%	94,3%	99,7	98,4%
უაქციზო	0,4%		1,8%		1,3%
აფხაზური			2,5%		
სომხური				0,3%	
რუსული			0,4%		

<sup>11</sup>იმას, თუ რომელ მუნიციპალიტეტში ცხოვრობს რესპონდენტი და მისი სიგარეტის აქციზის ქონას შორის სტატისტიკურად სანდო მიმართება არსებობს, რასაც შესაბამისი ჩანაწერი ადასტურებს:  $\chi^2=(24) 3740,663$   
 $p<0.01$

#### C5.4. ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა კოლოფზე

0.1%–ია იმ კოლოფების წილი, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გაფრთხილება არ აქვთ. შემთხვევათა 99.7%–ში კოლოფს ასეთი გაფრთხილება ქართულ ენაზე ერთვის. ზუგდიდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი სომხური, აფხაზური და რუსულენოვანი წარწერების რამდენიმე შემთხვევა.

დიაგრამა #C9



#### C5.5. სიგარეტის კოლოფში გადახდილი ფასი

მწველებმა ასევე დააფიქსირეს ისიც, თუ რამდენი გადაიხადეს სიგარეტის იმ კოლოფში, რომელიც ინტერვიუერს აჩვენეს. **გადახდილი ფასი**, ამ შემთხვევაში, საშუალოდ 3.6 ლარია (Median=3.8 ლარს).

ინტერვიუერისათვის ნაჩვენებ კოლოფში დასაქმებულებმა საშუალოდ 3.8 ლარი გადაიხადეს. საშუალოდ, ერთი ლარით ნაკლები აქვთ გადახდილი თავიანთ კოლოფში პენსიონერებს, ხოლო დაუსაქმებლების ორივე კატეგორიისათვის კოლოფის საშუალო ფასი თითქმის იგივეა, რაც დასაქმებულების შემთხვევაში.

**ცხრილი #C.15**

რამდენი გადაიხადეთ ამ კოლოფში?	Mean	Std. Deviation	Median
დასაქმებული	3.800	1.0552	4.0000
პენსიონერი/სტუდენტი	2.840	.9256	3.2000
უმუშევარი, შრომისუნარიანი/დიასახლისი	3.667	2.3276	3.5000
უმუშევარი, შრომისუნარო	3.752	1.0577	4.0000
Total	3.673	1.5543	3.7000

**ANOVA Table**

			Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
ნაჩვენებ კოლოფში გადახდილი ფასი დასაქმების ჭრილში	Between Groups	(Combined)	7641.700	3	2547.233	1086.040	0.000
	Within Groups		254492.254	108506	2.345		
	Total		262133.954	108509			

როგორც მონაცემები აჩვენებს, ბოლოს შეძენილ სიგარეტის კოლოფში გადახდილ ფასზე სტატისტიკურად სანდო გავლენას ახდენს რესპონდენტთა ასაკიც: 18-29 ააკობრივი კატეგორიის რესპონდენტების გადახდილი თანხის ოდენობის საშუალო მაჩვენებელი (Mean) 4.2 ლარია (Meidan=4.2 ლარ). აღსანიშნავია, რომ ასაკობრივი ჯგუფების ასაკების მატებასთან ერთად მცირდება რესპონდენტების მიერ სიგარეტში გადახდილი თანხის ოდენობის, როგორც საშუალო მაჩვენებლები, ასევე გადახდილი თანხის მაქსიმალური და მინიმალური ნიშნულებიც (აღნიშნული მიმართების სტატისტიკურ სანდოობაზე მეტყველებს ეს ჩანაწერი:

**ცხრილი #C.16**

რამდენი გადაიხადეთ ამ კოლოფში?	Mean	Standard deviation	Median	Mode
18-29	4.2	0.8	4.2	4.2
30-44	3.9	1.8	4	4
45-59	3.4	1.6	3.4	3.4
60+	2.9	1	3.2	2.3


**ANOVA Table**

			Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
ნაჩვენებ კოლოფში გადახდილი ფასი ასაკის ჭრილში	Between Groups	(Combined)	19745.855	3	6581.952	2948.401	0.000
	Within Groups		242643.087	108693	2.232		
	Total		262388.942	108696			

### C5.6. სიგარეტის მეორე კოლოფის არსებობა და მისი მახასიათებლები

როგორც მწვევლთა 5.1%-მა აღნიშნა, კოლოფი, რომლის შესახებაც ინტერვიუერმა მონაცემები შეაგროვა, არ წარმოადგენდა იმ მომენტში მათ ხელთ არსებულ ერთადერთ კოლოფს. 94.1% ურყოფს მეორე კოლოფის არსებობას, 0.7%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 0.1% – უარს ამბობს პასუხზე. თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ მათ ოჯახში ინტერვიუს მიმდინარეობის დროს მხოლოდ ერთი კოლოფი სიგარეტი ჰქონდათ. რესპონდენტების იმ ნაწილიდან, რომელმაც თქვა, რომ, ამ ერთი კოლოფის გარდა, კიდევ ქონდათ სხვა, 5,7% ცხოვრობს თბილისში, 4% ახალციხეში, 2,9% ზუგდიდში და ასე შემდეგ.

დიაგრამა #C10



საინტერესოა, რომ მეორე კოლოფის არსებობა ოჯახში სტატისტიკურად სანდო კავშირში აღმოჩნდა რესპონდენტთა **დასაქმების სტატუსთან**: დასაქმებული რესპონდენტებისგან განსხვავებით, პენსიონერების მხოლოდ 2%-ში არ იყო რესპონდენტის მიერ ნაჩვენები კოლოფი ერთადერთი სახლში.

**ცხრილი #C.17**

მხოლოდ ეს ერთი კოლოფი სიგარეტია ამჟამად ოჯახში რომელსაც მოიხმართ?	დასაქმებული	პენსიონერი/სტუდენტი	უმუშევარი, შრომისუნარიანი/დიასახლისი	უმუშევარი, შრომისუნარო
დიახ	93.1%	98.0%	94.3%	95.6%
არა	5.9%	2.0%	5.2%	2.9%
არ ვიცი	0.9%		0.5%	1.5%
უარი პასუხზე	0.2%			

$\chi^2=(9) 618.073 p<0.01$

რესპონდენტთა იმ ჯგუფის, ვინც მეორე კოლოფის არსებობის შესახებ აღნიშნა (ასეთია, როგორც ითქვა 5.1%), უდიდესი ნაწილი (89%) დათანხმდა მეორე კოლოფის ინტერვიუერებისთვის ჩვენებას და მის შესახებაც ანალოგიური მონაცემების დაფიქსირებას. თბილისში და ზუგდიდში გამოკითხული რესპონდენტების იმ ნაწილის დიდმა უმრავლესობამ, რომლებმაც დაადასტურეს ოჯახში სიგარეტის ერთი კოლოფის გარდა სხვების არსებობა, ეს კოლოფები აჩვენეს ინტერვიუერს. გაცილებით დაბალია ეს მაჩვენებელი ქუთაისსა და გორის მუნიციპალიტეტში.

აღსანიშნავია, რომ სიგარეტის მეორე კოლოფების 7.1% აღმოჩნდა ისეთი, რომელშიც არ იდო სიგარეტი. მეორე კოლოფებში უფილტრო სიგარეტის წილი უფრო მაღალია პირველ კოლოფებთან შედარებით (7.6% პირველი კოლოფის, ხოლო 8.5% – მეორე კოლოფის შემთხვევაში). განსხვავება უფრო დიდია აქციზისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წარწერის მხრივ: აქციზი მეორე კოლოფების 99.8%-ს აქვს, ხოლო ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა – აბსოლუტურად ყველას. მეორე კოლოფებში მწვევლებს საშუალოდ 10 თეთრით ნაკლები აქვთ გადახდილი, თუმცა მედიანა 20 თეთრით მაღალია და 4 ლარს შეადგენს. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ იმ სიგარეტის კოლოფების აბსოლუტური უმრავლესობის აქციზი, რომელიც რესპონდენტებმა დამატებით აჩვენეს ინტერვიუერებს თბილისში, ქუთაისში, ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტებში, იყო ქართული. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კი მეორე კოლოფების 14.5%-ს აქციზი არ ჰქონდა (მოხეული იყო).

რაც შეეხება რესპონდენტების მიერ სიგარეტის მეორე კოლოფში გადახდილი თანხის საშუალო მაჩვენებლებს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, თბილისის, ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი (Mean) 3 ლარზე მეტია, ხოლო ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – 3 ლარზე ნაკლები. ამას ადასტურებს მედიანური მაჩვენებლებიც.

**ცხრილი #C.18**


სიგარეტის მეორე კოლოფში გადახდილი თანხა	Mean	Standard deviation	Median	Mode	Maximum	Minimum
თბილისი	3,8	0,9	4	4	5	1,2
ქუთაისი	1,2	0	1,2	1,2	1,2	1,2
ზუგდიდი	2,8	1,1	3	3,5	4,5	1,4
ახალციხე	3,2	1,1	4	4	4,8	1,3
გორი	3	0,9	2,4	2,3	4,2	2,3
მუნიციპალიტეტები (საერთო მაჩვენებელი)	3,7	1	4	4	5	1,2

## სექცია D: ცოდნა, დამოკიდებულებები, აქტები

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც კვლევის ინსტრუმენტმა მოიცვა, არალეგალური/კონტრაბანდული სიგარეტებია.

შეკითხვაზე: „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, როდესაც არალეგალურ სიგარეტებზეა საუბარი?“ – მწვევლები ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნვეს იმას, რომ მოცემულ პროდუქტს დაბალი ფასი აქვს (43.6%). დაბალ ღირებულებასთანაა კავშირში მეორე დასახელებული საკითხიც – გადასახადების არგადახდა (27.9%). მესამე ყველაზე გავრცელებული მახასიათებელი – სიგარეტების დაბალი ხარისხია (20.9%).

დიაგრამა #D1





ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოცემულ საკითხზე პასუხები შემდეგნაირად ნაწილდება:

**ცხრილი #D.1**

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, როდესაც საუბრია არალეგალურ სიგარეტებზე?	18-29	30-44	45-59	60+
არ არის გადასახადი გადახდილი	18,5%	20%	17,3%	13,2%
დაბალი ფასი	23,1%	28,5%	32%	28,9%
დაბალი ხარისხი	16,1%	13,4%	12,6%	11,1%
იყიდება არარეგისტრირებულ სავაჭრო წერტილში	7,5%	9,8%	9,3%	8,8%
არა აქვს ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა	4,3%	4,7%	5%	4,1%
ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა არ არის ქართულ ენაზე	5,4%	5,6%	4,7%	3,4%
არ არის მითითებული კუპრის და ნიკოტინის შემცველობა	5,1%	3%	3,9%	1,6%
სხვა	2,2%	1,5%	0,5%	0,5%
არ ვიცი	17,3%	12,5%	13,7%	26,9%

$\chi^2=(51) 11272,922 p<0.01$

როგორც მონაცემები აჩვენებს, ასაკობრივი ჯგუფების ჭრილშიც, თითოეული ჯგუფის შემთხვევაში, საერთო შერჩევაში არსებული ტენდენციები მეორდება.

არალეგალურ პროდუქციაზე საუბრისას, თბილისში გამოკითხული რესპონდენტების მიერ მნიშვნელოვანი საკითხების შეფასებისას, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს სიგარეტის დაბალ ფასს (25.3%), ასევე, გადასახადის გადაუხდელობას (18.8%), დაბალ ხარისხს (13.8%) და ა.შ. რაც შეეხება ქუთაისს, აქ გამოკითხულთა 46,9% მიიჩნევს რომ არალეგალურ სიგარეტებთან ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია დაბალი ფასი, ხოლო 21.3% ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია გადასახადის გადაუხდელობა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიაჩნიათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია არალეგალური სიგარეტის დაბალი ფასი და დაბალი ხარისხი. ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მონაცემები სანდოა.

**ცხრილი #D.2**


რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, როდესაც საუბრია არალეგალურ სიგარეტებზე?	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	გორის მუნიციპალიტეტი
არ არის გადასახადი გადახდილი	18,8%	21,3%	6,2%	24,4%	11%
დაბალი ფასი	25,3%	46,9%	43%	37,8%	38%
დაბალი ხარისხი	13,8%	17,8%	6%	9,9%	10,7%
იყიდება არარეგისტრირებულ სავაჭრო წერტილში	10%	2%	5%	0,7%	6,3%
არა აქვს ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა	5,2%	1,7%	2,9%	1,8%	1,5%
ჯანმრთელობის გამაფრთხილებელი წარწერა არ არის ქართულ ენაზე	5,7%	0,4%	1%	1%	3,3%
არ არის მითითებული კუპრის და ნიკოტინის შემცველობა	3,9%	0,7%	1%	1,5%	3,8%
არ ვიცი	15,2%	7,8%	31,1%	14,5%	22,7%

$\chi^2=(68)18685.092, p<0.01$

კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 1%-მა იცის საკუთარ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს თამბაქოს არალეგალური ნაწარმის გაყიდვის შესახებ. საინტერესოა, რომ 0.4%-მა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა, ხოლო 14.7%-მა აღნიშნა, რომ პასუხის გაცემა უჭირდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტთა ამ ნაწილში არალეგალური თამბაქოს გაყიდვის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტებიც არიან, რომლებმაც ინფორმაცია დამალეს (საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე).


ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ამ მონაცემებში წარმოადგენს ე.წ. „აუთლაიერს“, ვინაიდან, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მწვევლების ბევრად უფრო მეტ წილს აქვს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის არალეგალური გაყიდვების შესახებ (8.8%).

დიაგრამა #D2



იმ მწვეველთაგან ვინც დააფიქსირა, რომ იცის საკუთარ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს თამბაქოს არალეგალური გაყიდვის შესახებ, საკმაო ნაწილი აღნიშნულ პრობლემას მნიშვნელოვნად ან ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს (ჯამში 39.2%):

დიაგრამა #D3



აღსანიშნავია, რომ არალეგალური სიგარეტების გაყიდვის მნიშვნელოვნების მიმართ დამოკიდებულება იცვლება რესპონდენტების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კორელაციურმა ანალიზმა გამოვლინა, რომ 18-29 ასაკობრივი ჯგუფის 42.2%-ს არალეგალური/კონტრაბანდული სიგარეტების გაყიდვის თემა ძალზე უმნიშვნელო/უმნიშვნელო საკითხად მიაჩნია; რაც უფრო მატულობს რესპონდენტთა ასაკობრივი ცენზი აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნების ხარისხი იზდება.

ცხრილი #D.3

რამდენად მნიშვნელოვანია თამბაქოს არალეგალურად გაყიდვის საკითხი?	18-29	30-44	45-59	60+
ძალზე უმნიშვნელო	21,1%	24,5%		
უმნიშვნელო	21,1%	10,3%	11,4%	
საშუალო	32,7%	13,4%	26,8%	74,7%
მნიშვნელოვანი	4%	26,4%	57,9%	
ძალზე მნიშვნელოვანი	21,1%	24,5%		
არ ვიცი		1%	3,9%	28,3%

$\chi^2=(15) 781,690 p<0.01$

აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნებას განსვავებულად აფასებენ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში: თბილისში გამოკითხულ ყოველ მეოთხე ეს თემა ძალზე უმნიშვნელო საკითხად მიაჩნია, მაშინ როდესაც სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები რესპონდენტები ამ საკითხს სხვაგვარად უდგებან. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტში გამოკითხული რესპონდენტების

აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არალეგალური სიგარეტების გაყიდვის თემა მნიშვნელოვანია.


**ცხრილი #D.4**

რამდენად მნიშვნელოვანია თამბაქოს არალეგალურად გაყიდვის საკითხი?	თბილისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	გორის მუნიციპალიტეტი
ძალზე უმნიშვნელო	25%	2,3%		
უმნიშვნელო	12,5%	18,1%	50%	
საშუალო	12,5%	56,8%		
მნიშვნელოვანი	25%	13,7%		100%
ძალზე მნიშვნელოვანი	25%	2,3%		
არ ვიცი		6,8%	50%	

რესპონდენტთა იმ მცირე რაოდენობამ (სულ 55 რესპონდენტი), ვინც ინფორმირებულია არალეგალური სიგარეტის გაყიდვის შესახებ, დაასახელეს ძირითადი ადგილები, სადაც ასეთი პროდუქციის შექმნა შესაძლებელია. ესენია ადგილობრივი მაღაზია (47.3%) და ბაზარი (18.2%). დანარჩენი ლოკაციები (ჯიხური და სხვა) მხოლოდ ერთეულმა რესპონდენტებმა დაასახელეს.

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტს ბოლოს დაესვა შეკითხვა, იყიდდნენ თუ არა ადამიანები სიგარეტს იმ შემთხვევაში, თუ მათ ეცოდინებოდათ, რომ აღნიშნული სიგარეტი არალეგალური იყო. მონაცემების მიხედვით, 50.6%-მა აღნიშნულ კითხვას დადებითად უპასუხა. მხოლოდ 24.2%-მა დააფიქსირა უარყოფითი პასუხი, ხოლო 25.2%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

**დიაგრამა #D4**



როგორც მონაცემები აჩვენებს, ყველაზე მეტად თბილისში მცხოვრები მწვევლები თვლიან, რომ სიგარეტის არალეგალურობა არ იქნება მისი შეძენისთვის შემაფარხებელი ფაქტორი; თბილისის გარეთ მცხოვრები რესპონდენტების განწყობა არსებითად სხვაა – მაგალითად, ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტებში უფრო მეტია იმ რესპონდენტთა წილი ვინც მიიჩნევს, რომ არალეგალურობის გამო ადამიანები სიგარეტს არ იყიდებიან, იმათთან შედარებით, ვინც საპირისპიროს ფიქრობს (ტერიტორიული ერთეულების ჭრილში მონაცემები სტატისტიკურდ სანდოა:  $\chi^2=(12) 12930,31 p<0.01$ ).